

ლევან ზ. პრუშაძე

ქრისტეფორე რაჭველიშვილის ბიოგრაფიისათვის



ქართველი საზოგადოებისათვის კარგად არის ცნობილი 1937 წელს კომუნისტური რეჟიმის მიერ დახვრეტილი თვალსაჩინო მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ქრისტეფორე რაჭველიშვილის (1894-1937) სახელი. მას იცნობენ, როგორც შესანიშნავ ისტორიკოსსა და ფილოლოგს, ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიისა და ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხებზე შექმნილი შესანიშნავი ნაშრომების ავტორს, ნიჭიერ პუბლიცისტს და ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიის მკვლევარს [1-3]. მაგრამ, საზოგადოება თითქმის არ იცნობს ქრისტეფორე რაჭველიშვილს, როგორც პოლიტიკურ მოღვაწეს, საქართველოს 1913-1918 და 1921-1923 წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიურ მონაწილეს. მისი მოღვაწეობის სწორედ ამ მხარის წარმოჩენას ემსახურება წინამდებარე ნაშრომი. ამ მიზნით ჩვენ მიერ გამოყენებულია მთელი რიგი საარქივო მასალებისა [4-7].

თბილისის ქართული სათავადაზნაურო გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, 1913 წლიდან, ქრ. რაჭველიშვილი აქტიურად ჩაება ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. იმავე წელს იგი ჩაირიცხა ხარკოვის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე. იმავე ხანებში გახდა საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა პარტიის წევრი. უნივერსიტეტში ჩაირიცხვისთანავე

მონაწილეობდა ცარისტული რუსეთის წინააღმდეგ გამოსვლებში, რის გამოც გარიცხულ იქნა უნივერსიტეტიდან [1].

მომდევნო 1914 წელს ქრ. რაჭველიშვილი გახდა ნოვოროსიისკის (ოდესის) უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი [1, 5].

საქართველოს ეროვნული არქივის სახელმწიფო საისტორიო არქივში დაცულია საინტერესო მასალები, რომლებიც ასახავს ქრ. რაჭველიშვილის აღნიშნული ხანის პოლიტიკურ მოღვაწეობას [5, ფურც. 354-355, 371, 398].

1914 წლის 15 ოქტომბრით თარიღდება გრიფის – “სრულიად საიდუმლოდ” მქონე დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს ოდესის კანდარმთა სამმართველოს მიმართვას პოლიციის დეპარტამენტის დირექტორისადმი [5, ფურც. 354]. ამ ორგვერდიან დოკუმენტში მითითებულია, რომ კანდარმერიის მიერ 14 ოქტომბერს მიღებული აგენტურული შეტყობინების თანახმად, თურქეთში მცხოვრები ქართველი ინჟინრის მონაწილეობით სტუდენტ მიხეილ ჯიბრაელის ძე იაშვილის ბინაზე შედგა შეკრება, რომელშიც მონაწილეობდნენ ნოვოროსიისკის საიმპერატორო უნივერსიტეტის სტუდენტები კლავდია აბესალომის ასული გყემალაძე, ქრისტეფორე ლუკას ძე რაჭველიშვილი და მიხეილ დიმიტრის ძე საყვარელიძე. შეკრებაზე მოწვეულმა შემოსხენებულმა ინჟინერმა მონაწილეებს მოახსენა, რომ ემიგრანტი მიხეილ გიორგის ძე წერეთელი, თურქეთში მყოფ სხვა ქართველ ემიგრანტებთან ერთად, აქტიურ მოლაპარაკებას აწარმოებდა გერმანიის იმპერიის პოლიტიკური წრეების წარმომადგენლებთან. დოკუმენტის თანახმად, მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ გერმანიის ელჩი, გრაფი პურტალესი და თურქეთის სამხედრო მინისტრი ენვერ-ფაშა. მოლაპარაკების მთავარი თემა იყო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის საკითხი.

ემიგრანტმა ინჟინერმა შეკრების მონაწილეებს გადასცა 200 მანეთი იმისათვის, რომ მათ კავშირი დაემყარებინათ სხვა უნივერსიტეტების ქართველ სტუდენტებთან და მიეწოდებინათ მათთვის შემოსხენებული ინფორმაცია. საუბრის დროს ინჟინერმა განაცხადა, რომ უახლოეს ხანებში თურქეთი ომს გამოუცხადებდა რუსეთს, რაც ხელს შეუწყობდა მათ წინაშე დასახული მიზნების ხორცშესხმას.

თუ ამ საბუთის შინაარსს შევაჯერებთ აღნიშნული პერიოდის სხვა წყაროების მონაცემებთან [8-9], საცხებით ნათელი გახდება, რომ საბუთში მოხსენიებული ქართველი ემიგრანტი ინჟინერი არის 1914-1918 წლებში თურქეთში მოქმედი “საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის” ერთ-ერთი ლიდერი გიორგი

მაჩაბელი, რომელიც კომიტეტის სხვა ლიდერებთან მიხეილ (მიხაკო) წერეთელთან, გიორგი კერესელიძესთან და სხვებთან ერთად იმხანად მართლაც აწარმოებდა მოლაპარაკებას გერმანელებთან.

რაც შეეხება მიხეილ იაშვილს, იგი გახლდათ ცნობილი პოეტის და საზოგადო მოღვაწის პაოლო იაშვილის ძმა.

სახელმწიფო საისტორიო არქივის განსახილველ საქმეში დევს “საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის” მიმართვა ქართველი ერისადმი [5, ფურც. 370]. სავსებით ნათელია, რომ ოდესის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტებს, მათ შორის ქრისტეფორე რაჭველიშვილს, დავალებული ჰქონდათ ამ მოწოდების გავრცელება რუსეთის იმპერიის სხვა უნივერსიტეტების ქართველ სტუდენტთა შორის.

იმას, რომ საქმეში მოხსენიებული ქართველი ინჟინერი არის გიორგი მაჩაბელი, ადასტურებს ამავე საქმეში არსებული სხვა საბუთი, რომელიც, ასევე, პოლიციის დეპარტამენტის დირექტორისადმი ეხსენებოდა სამმართველოს უფროსის მიმართვას წარმოადგენს და თარიღდება 1914 წლის 25 ოქტომბრით [5, ფურც. 398]. მითითებულ საბუთში აღნიშნულია, რომ სწორედ ქრისტეფორე რაჭველიშვილს დაევალა კავშირის დამყარება მოსკოვის, პეტროგრადის, ხარკოვის და კიევის უნივერსიტეტების ქართველ სტუდენტებთან.

ქრ. რაჭველიშვილის აქტიურ ურთიერთობას რუსეთის იმპერიის უნივერსიტეტების ქართველ სტუდენტთა წრეებთან ადასტურებს, აგრეთვე, ის მასალები, რომლებიც დაცულია საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის აკად. ივანე ჯავახიშვილის პირად არქივში [4].

1917 წელს ქრ. რაჭველიშვილმა დაამთავრა ოდესის უნივერსიტეტის ისტორია – ფილოლოგიის ფაკულტეტი და დაბრუნდა სამშობლოში [1].

როგორც ცნობილია, 1917 წლის 22 ნოემბერს გამოჩენილი ქართველი ეროვნული მოღვაწეების – გენერალ კონსტანტინე (კოტე) აფხაზის, გიორგი გვაზაფას, რევამ გაბაშვილის, ექვთიმე თაყაიშვილის და სხვათა თაოსნობით თბილისში დაფუძნდა “საქართველოს ეროვნული საბჭო” [6]. შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ ეროვნული საბჭოს მესვეურთ მხედველობიდან არ გამოორჩათ ქრ. რაჭველიშვილის აქტიური მონაწილეობა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში და იგი საბჭოში მიიწვიეს.

ეროვნულმა საბჭომ პირველ საგანგებო სხდომაზე, 1918 წლის 26 მაისს, მიიღო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი, რომელსაც სხვა სახელოვან მამულიშვილთა ხელმოწერებთან ერთად, ამშვენებს ქრ. რაჭველიშვილის ხელმოწერა.

ქრ. რაჭველიშვილი საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი იყო 1919 წლის მარტამდე, როდესაც არჩეულ იქნა საქართველოს ახალი პარლამენტი, - დამფუძნებელი კრება.

ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) ოკუპაციისა და ფაქტობრივი ანექსიის (1921 წლის თებერვალი – მარტი) შემდეგ ქრ. რაჭველიშვილი გახლდათ 1921-1923 წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი, ანტისაოკუპაციო მოძრაობის აქტიური მონაწილე. ამ დროს იგი იყო საქართველოს მემარჯვენე ფედერალისტთა არალეგალური ორგანიზაციის წევრი და მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა საქართველოს ანტისაბჭოთა პარტიების პარიტეტულ კომიტეტთან (იგივე “დამოუკიდებლობის კომიტეტთან”). 1923 წლის ნოემბერში იგი დაპატიმრებული იქნა საქართველოს სსრ ე.წ. “საგანგებო კომისიის” (ე.წ. “ჩეკა”) მიერ. პატიმრობაში იმყოფებოდა 1924 წლის ივნისამდე [7].

ამის შემდეგ ქრისტეფორე რაჭველიშვილი ჩამოცილდა პოლიტიკურ საქმიანობას და ეწეოდა აქტიურ სამეცნიერო მოღვაწეობას.

1937 წელს იგი კვლავ დააპატიმრეს. საქართველოს სსრ ე.წ. “შინსახკომი”-ს “დიდმა სამეულმა” მას სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრევა მიუსაჯა. ასე დაამთავრა სიცოცხლე სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებულმა დიდებულმა მამულიშვილმა და სწავლულმა, რომლის მთელი ცხოვრება ქვეყნისადმი თავდადებული სამსახურის ბრწყინვალე მაგალითს წარმოადგენს.

ლიტერატურა და წყაროები:

1. ც. ბერძენიშვილი. რაჭველიშვილი ქრისტეფორე ლუკას ძე. – ქსე, ტ. 8, თბილისი, 1984, გვ. 313.
2. ქრ. რაჭველიშვილი. ილია ჭავჭავაძე, ტფილისი, 1937.
3. ქრ. რაჭველიშვილი. საქართველოს ფეოდალიზმის ისტორია, ტფილისი, 1927.
4. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ივ. ჯავახიშვილის პირადი არქივი, საარქ. ერთეულები №№ 772-797, № 2165.

5. საქართველოს ეროვნული არქივის სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 157, აღწ. 1, საქ. 320.

6. საქართველოს ეროვნული საბჭოს პირველი სხდომის (1918 წლის 26 მაისი) ოქმის ამონაწერი და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის 1918 წლის 26 მაისის აქტი. – წიგნში: გ. შარაძე. ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტომი II, თბილისი, 2001, გვ. 128-135.

7. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველოს ყოფ. სუკ-ის საარქივო ფონდი, საქმე № 5923-51 (1923-1924 წწ.).

8. მ. სიორიძე. საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი (1914-1918), გამომცემლობა “აჭარა”, ბათუმი, 1998.

9. რ. გრძელიძე. საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნული კომიტეტი (1914-1918 წწ.), თსუ-ის გამომცემლობა, თბილისი, 1995.

Levan Z. Urushadze

For the biography of Christophore Rachvelishvili

Summary

The article deals with the little known details of the biography of Dr. Christophore L. Rachvelishvili (1894-1937), the noted Georgian scholar and public figure, fallen a victim of communist repressions of 1937. In particular, on the base of the archival material his active participation in Georgian national-liberation movement of 1913-1918 and 1921-1923 is considered.